საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/66 „ 15 „ იანვარი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის გასათვალისწინებელი პირობების შესახებ

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობისათვის გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი პირობები:

ა) შენობა-ნაგებობას უნდა გააჩნდეს ყოველდღიურად არანაკლებ 4000 ვიზიტორის მიღების შესაძლებლობა;

ბ) შენობა-ნაგებობაში უნდა განთავსდეს სასამართლოს პერსონალი 1000 პირის ოდენობით, მათ შორის 140 მოსამართლე;

გ) შენობა-ნაგებობაში უნდა განთავსდეს არანაკლებ 80 სხდომის დარბაზი, მათ შორის:

გ.ა) სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიისათვის - არანაკლებ 30 სხდომის დარბაზი (მათ შორის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომებისათვის განკუთვნილი 5 დარბაზი);

გ.ბ) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის - არანაკლებ 30 სხდომის დარბაზი (მათ შორის საარბიტრაჟო დავებისათვის განკუთვნილი 1 დარბაზი);

გ.გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის - არანაკლებ 20 სხდომის დარბაზი.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობისა და შესაბამისი შესყიდვის პროცედურების განხორციელების უზრუნველსაყოფად მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, გაითვალისწინოს ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში აღნიშნული პირობები.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი